# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 173

წელიწადი მეორე

1913

ოთხშაბათი, 23 ოქტომბერი.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ" Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე წელიწადი მეორე

1913

## იმერეთი

| | |
|---|---|
| გაზეთის ფასი: | ერთი წლით . . . 7 მანეთი, |
| | ნახევარი წლით . . . 4 მანეთი. |
| | ერთი თვით. . . . 4 აბაზი. |
| | და ცალკე ნუმრის . . 1 შაური, |

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ"

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.


ღვდელი პავლე, მელიტონ, აქიმი ეპიფანე შენგელიები და მარიამ გიორგის ასული ახვლედიანისა, რძლები: პელაგია ლევანის ასული, პელაგია იესეს ასული და ნინო ივანეს ასული, სიძე ისაკ ბახვას-ძე ახვლედიანი, შვილის-შვილები: ბესარიონ, ვერა, ნინო და იონა შენგელიები, თამარ, ვალერიანე, ვასილ, ელენე და ნადეჟდა ახვლედიანები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: პირველნი ძვირფასი მამისა, მეორენი მამამთილისა, მესამე სიმამრისა და მეოთხე საყვარელი ბაბუასი

**ღვდლის გიორგი ბესარიონის ძის შენგელიას**

გადაცვალებას, რომლის ტირილი და დაკრძალვის დღეც დანიშნულია 24 ამ თვეს, დილის ცხრა საათზე, ჭაგნის ღვთისმშობლის ეკლესიაში. პანაშვიდი ყოველდღე $6^1/_2$ საათზე.


## გამოცდილი მასწავლებელი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე

**ამზადებს და ამეორებიებს** საშვალო სასწავლებლის მოწაფეებს (და ყველა მსურველსაც) ქართულსა და რუსულ ენებს, ლიტერატურასა და ისტორიას.

აქვე შეიძლება მიღება ჩხევა-დარიგებისა

## სამოსამართლო საქმეების შესახებ.

**მოსწავლენი** მიიღებიან ნაშვადღევის 5—6 საათამდი, **კლიენტები-კი**—საღამოს 6—7 საათამდი. ფერმის ქუჩა, სახლი დვ. გახეთელიძისა, ბინა ი. თ. ცინცაძისა.

ახლათ გამოშვებული პაპიროზები

## „დელი-ბაბ"

10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. იყიდება ყველგან.

პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს. თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა" ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.

## ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი აქიმებით.

## მუდმივი საწოლებით

**თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

ი. ჯაფარიძე—ყელის, ცხვირის, ყურისა და შინაგ. . . . . 8—10
ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის . . . . . 10—12
ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, სნებით . . . . 11—12
დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . 12— 2
ა. ჭოლოშვილი—სნებ., ქალთა და შინაგ. . . . . $12^1/_2$ 2

ს ა ღ ა მ ო თ.

ლ. ქორქაშვილი—თვალის . . . . . . . $4^1/_2$—$5^1/_2$
ა. ჭოლოშვილი—სნებით, ქალთა და შინაგ. . . . . $5^1/_2$—$6^1/_2$

[illegible]მკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი. წ.

## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლ[illegible] მიღებული საქონლები პირველი ღირსებ[illegible], რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნები[illegible] და უკანასკნე[illegible] მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზ ის **უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები:** კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკ ბი, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშ[illegible]ის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, [illegible]ეწვის მუფთები ქუდები და შალები ღაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშების, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კ[illegible]ცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთე[illegible]ს **ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.**

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.

ვინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

## პაროსი

25 ცალი 3 შ. | 10 — 6 კ. იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.** თფილისში.

## მევენახეთა საყურადღებოთ!

1913 წლის ღვინის მოსავალს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო.

ამერიკული ვაზის სანერგე **„კლდ უბურული"** ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამყნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტე, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოლ—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო"-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და საჭმელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე ძმ. გოკიელის სახლში **ვ. ტიეგო.**

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი.

## მ. გალანჩივაძისამ

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე ვუცრი ყვავილსაც. გენერლის ქუჩა, აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

**აქიმი** გ. ა. **მეიფარიანი.** ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

**აქიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ჯორჯიკიას სახლი. თ.

**აქიმი** ი. **ჩარექოვი** იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

## ლაბა ზესცაფონი

აქიმი ლ. დ. ნაზაროვი

მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.

**აქიმი** კ. თ. **ტყეშელაშვილი.** ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი, ვენერიული, კანის**) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

**აქიმი** დ. **ჯაფარიძე** იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

**აქიმმა** ბ. ა. **მირაქოვმა** დროებით რუსეთში წასვლის გამო შეწყვიტა ავათმყოფების მიღება.


## კვლავ ერთიც.

მას შემდეგ, რაც ჩვენს ცხოვრებას „კეთილმორწმუნე" მესვეურნი გაუჩნდენ და მათ მიერ მოყენებული სიკეთით ყოველსავე კეთილს ჩვენში გადაცვლა-გადაგვარება მოელის, ჩვენს სამართლიან გოდებას ბოლო არ უჩანს. „პე, სოფელო, რას მაბრუნებ, რა ზნე გჭირს"-ო—სთქვა დიდებულმა მგოსანმა რამდენიმე ათეული წლის წინათ. განვლო ამ ათეულმა წლებმა და კვლავ უფრო მეტი სიმწვავით და მეტის გრძნობით მივმართავთ ხოლმე მგოსნის სიტყვებით ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ბედს. არავინ უწყის, რას გვიქადის არა მკითხე გადიათა მოღუშული შუბლი და უცხო მოხელეთა მლიქვნელური ღიმილი, ველარ მივსწდომივართ საზღვარს, დასაბამს და დასასრულს ჩვენი კუთხის მოამაგეთა საგმირო საქმეებისას. გადამგვარებელი მანქანა დიდის ენერგიით მუშაობს, ჩარხი წარამარა ტრიალობს და ტალღას გადაგვარებისას დღემდი ათასობით გაურიყავს და მიუტოვებია ბედის ანაბარათ ქართველნი: მოწიფულნი, ჩვილნი ყმანი, დარბაისელნი და მოხუცნი. სასოწარმკვეთი მაგალითები ასობითაა და ფოთის სახელოსნო შკოლის ბედი ამ შემთხვევაში ერთს ასთაგანს შეადგენს. ფოთში მოგზაურობის დროს დეპუტატი გელოვანისთვის განუცხადებიათ: „აქაურ გიმნაზიაში ქართული ენა სავალდებულო საგანთა რიცხვში არ შედის, ხოლო სახელოსნო შკოლიდან სულერთიან განდევნილიაო"; ერთ-ერთ მასწავლებელთაგანს დეპუტატისთვის უთქვამს: „ერთმა მოსწავლემ თავის მშობლებს ქართული ბარათი რუსული ასოებით მისწერაო". ქართველნი თუმცა ფიცხი და მღელვარე ტემპერამენტით განითქმებიან, მაგრამ კანონიერებას ყოველთვის შერიგებიან. არავის კრინტი არ დაუძრავს, თუ კი სხვისი საკუთრების მითვისებისათვის რომელიმე ქართველი ვისმე დაუსჯია. ხოლო წარმოუდგენელია ადამიანი, რომელსაც ენას სჭრიან და არ დაიკვნესოს, წარმოუდგენელია ერი, რომელსაც ბუნებით მინიჭებულ სიმდიდრეს ძალით სტაცებენ, რომლის წმიდათა წმიდასაც ტლანქათ ფეხქვეშ სთელენ და უკმაყოფილების ოხვრა არ ამოხდეს. ამას შემდეგ გასაკვირალია, თუ რას ელტვიან გადამგვარებელნი, რა სურთ, რა უნდათ? ჭრილობა, ვისგანაც უნდა იყოს იგი მოყენებული, ტკივილს გვაგრძნობიებს, ტკივილი უკმაყოფილებას ბადებს და უკმაყოფილება ხომ შეურიგებლობას იმი სადმი, რასაც ძალით გვაწვდიან და გვაჩრიან...

იმერი.

## ახალი ამბავი.

პიროგოვის საზოგადოება ქუთაისის გუბერნიაში მოუსავლობის შესახებ ცნობების შეკრებას უკვე შეუდგა.

✦ თ. ვლადიმერ მიქელაძეს განზრახვა ქონია ქუთაისში თავისი მიმართულების გაზეთი დააარსოს ქართულ ენაზე.

✦ ქალაქის ქუჩებზე ყოველდღე დაიარება ერთი სულით ავათმყოფი ქალი ნახევრათ შიშველ-ტიტველი, რომელიც სასტიკ შთაბეჭდილებას ახდენს გამვლელ-გამომვლელზე. საჭიროა, ქალაქის გამგეობამ ყურადღება მიაქციოს და ქალი სულით ავათმყოფთა თავშესაფარში მოათავსოს.

✦ ხონის გიმნაზიის მე-5 და 6 კლასის მოწაფენი მოწამეთასა, გელათსა და ტყიბულში იყვენ საექსკურსიოთ.

✦ მასწავლებელ ქალს ნინო ჟორჟოლიანის ასულს გადაუთარგმნია ე. შოიენის რომანი „თეთრი მონა", რომელსაც ამ მოკლე ხანში ცალკე წიგნათ გამოსცემს.

✦ მეფის მოადგილის თანაშემწე სენატორი ვატაცი ორი თვით სამსახურიდან გაათავისუფლეს. მისი მოადგილეობის ასრულება კანცელარიის დირექტორს პეტერსონს მიენდო.

✦ მეფის მოადგილემ ნება დართო 17 ნოემბერს თფილისში გაიხსნას კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა მე-11 კრება.

✦ 27 ოქტომბერს ქალაქის თეატრში ჩვეულებრივ გაიმართება „ილიას საღამო", რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: კიტა აბაშიძე, ილიკო ქურხული, კაპელიანსკი და სხ. ცოცხალ სურათად აჩვენებენ ილიას ძეგლს.

თ ფ ი ლ ი ს ი.

ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ წინადადება მისცა თავის ძველ სტიპენდიანტებს, დაუბრუნონ საზოგადოებას ნაწილ-ნაწილათ ის ფული,

რომელიც სტიპენდიის სახით აქვთ წალეღებული, ძველ სტიპენდიანტთაგან დღემდი მხოლოდ ერთმა განუცხადა გამგე – ბას, 1 იანვრიდან თვეში 10 მან. დავაბრუნებო.

✦ თავად-აზნაურობის სტიპენდიანტები მოვალე არ არიან, რომ სტიპენდიის სახით წაღებული ფული შემდეგში ისევ დააბრუნონ. ამის მიუხედავათ, როგორც გავიგეთ, ზოგიერთს სურვილი აქვს, ფული დააბრუნოს კეთილი საქმისთვის მოსახმარებლათ. ფულის უკან დაბრუნებას განსაკუთრებით აბრკოლებს ის გარემოება, რომ დღემდი არ არსებობს რაიმე ორგანიზაცია, სადაც შეიძლებოდეს ამ ფულის ჩაბარება. კარგი იქნება მსურველებმა ფული გადასცენ წ.-კითხვის საზოგადოებას საშკოლო ფონდისათვის.

✦ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წლიური კრების დღე ჯერჯერობით დანიშნული არ არის. საზოგადოების მოქმედების ანგარიში ამ ჟამათ სარევიზიო კომისიის ხელშია. კრება მოწვეულ იქნება მას შემდეგ, როდესაც სარევიზიო კომისია გამგეობას თავის დასკვნას წარუდგენს.

✦ ფშავხევსურში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება ოთხი ახალი შკოლის დაარსებას აპირობდა, თანახმათ მოხსენებისა გორის ეპისკოპოზის ანტონისა, რომელმაც შარშან ზაფხულზე შემოიარა ფშავ-ხევსურეთი, ამ ჟამათ საზოგადოებას დაუნიშნავს ადგილები შკოლების ასაგებათ ხევსურეთში. სოფ. ბარისახოსა და ხახმატში, ხოლო ფშავში სოფ. მუქოსა და შუაფხოში. საჭირო თანხა გადაიდება დასავლეთ ოსეთში დახურული შკოლების კრედიტისაგან.

## მოწერილი ამბავი.

**ზედა-საფირჩხია.** ოთხი წელიწადია, რაც ჩვენს უბანში სამინისტრო შკოლაა, რომლის დამარსებელი და სულის ჩამდგმელიც ნ. გ—ძეა. იგი შკოლის გამგე მასწავლებლათაც არის. მან რომ დაინახა —უბანი სავსეა ბავშებით და ამავე დროს ძლიერ დაშორებულია სხვა უბნის შკოლას, მოიწადინა შკოლის დაარსება, გადალახა ყოველი დაბრკოლება და მიაწია თავის სურვილს. დღეს ეს შკოლა თუ არსებობს—მისი წყალობითაა, მისივე მაცადინობით მომავალ ნოემბერში სასწავლებელი თავის საკუთარ შენობაში მოთავსდება, რომელსაც მთავრობა თავისი ხარჯით აკეთებს. დღემდი კი ნაქირავებ შენობაში სწარმოებდა სწავლა. აქაც, როგორც სხვაგან, იყვენ ხელის შემშლელი პირები, მაგრამ მათმა ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა. თუ კვლავაც განაგრძეს თავისი მაცადინობა და ხელის შეშლა, იძულებული ვიქნებით მათი საქმენი საგმირონი გაზეთის საშვალებით გამოვაქვეყნოთ. ბ. მასწავლებელი და მასთან ერთად სხვა ზოგიერთი გულშემატკივარი ცდილობენ მაღალი ტიპის სამოქალაქო შკოლის დაარსებაზე, ქუჩის განათებასა და სხვ. ვიმედოვნებთ—თა ის შრომას არ დაიშურებენ კვლავაც ამ უბნის კულტურული წინსვლისთვის.

**აქაური.**

## ფიქრთა მორევში.

მწარე საგონებელში ჩაგაგდებს კაცს „გადაჭრილი მუხის" უკანასკნელი სცენა. მდიდარი მემამულე, ფუქსავატი ცხოვრების წყალობით გაუბედურებული ცოლშვილი ამისი და მისი მოურავი თავს დასტირიან გადაჭრილ მუხას. იქ, ამ მუხის ჩრდილ ქვეშ მემამულის წინაპართ ბევრი ტკბილი დრო გაუტარებიათ, უვლიდენ ამ მუხას, რწყავდენ, იცავდენ, კვეცდენ ხმელ რტოებს...

იჭრება მუხები. ნიავდება კერა... და რაღათ კითხულობს თანამედროვე მემამულე, რისთვის სწყურია გაიგოს:— ამოიყრის თუ არა რტოებს გადაჭრილი მუხა, განედლდება თუ არა?

მუხას ფესვები ღრმათა აქვს წასული მიწის გულში...

ხოლო მის სულსა და გულს ველარ გაახარებს იგი... დასთმო, შეელია, კერა დაამხო და უცხოელი ხელკეტით ერეკება:—

— მოშორდი, გაეთრიე აქიდან, წვეჩალეტილო ქართველო!—ო

ბევრი გადაიჭრა, კვლავაც გადაიჭრება მუხები..

და რა ირგვება მათ ნაცვლათ, რა ნაყოფს გამოელიან თანამედროვე მემამულენი, ვინც სთმობენ კარ მიდამოს? ხელკეტს, გაეთრიეს...

**დ. მესხი.**

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტო).

**ბეილისის საქმე.**

**კიევი.** განაგრძობენ პრანაიტისის დაკითხვას. თალმუდისა და კაბალას შესახებ კითხვები მისცა შმაკოვმა. გრუზენბერგის შეკითხვაზე ექსპერტმა უპასუხა: არის თალმუდის განსაკუთრებული სრული გამოცემა. იგი 1644 წ. ამსტერდამშია გამოცემული და დღეს იშვიათ ეგზემპლიარს წარმოადგენს. ის აქვს მხოლოდ პეტერბურგის და რომის კათალიკურ აკადემიას. დაწერილ კანონებში სისხლის ხმარების საჭიროება არ არის აღიარებული, ეს მხოლოდ სიტყვიერათ არის ხალხში გავრცელებული. გრუზენბერგი თხოულობს იმ წიგნების ამოკრებას, რომელიც ექსპერტმა დაასახელა. თავმჯდომარე აცხადებს—ეს ზედმეტია, მხარეები ამას თავისთავათ გამოარკვევენო. სხვა ექსპერტებსაც შეეკითხა გრუზენბერგი და დაასკვნა, რომ დამცველთა შუამდგომლობით საკითხი სასამართლოს მიერ გამორკვეულიაო. თავჯდომარე აცხადებს, თუ დამცველები აქ სიმართლეს არ ხედვენ, შეუძლიათ საკასაციო საჩივარი აღძრანო. პროკურორი ითხოვს სარატოვის საქმის ოქმიდან იმ ადგილების წაკითხვას, სადაც რიტუალური მკვლელობის შესახებ ისტორიული ცნობებია. შმაკოვი-კი სასამართლოს გადაწყვეტილების წაკითხვას თხოულობს. კარაბჩევსკის საჭიროთ არ მიაჩნია ოქმის გამოქვეყნება. ლაპარაკობს ზამისლოვსკი, აღნიშნავს: ექსპერტი წიგნსაცავში მაცადინეობდა და მის მიერ ამონაწერი ადგილები სწორია, რასაც მისი წინასწარი ჩვენებაც ამტკიცებს. ზარუდნი ამბობს: ექსპერტების მიერ დასახელებული წიგნები, ნამდვილი ფაქტია და არა ვისიმე სურვილიო. თუ ექსპერტმა სისწორით არ მოიხსენია წიგნიდან ამონაწერი ადგილები, იმ შემთხვევაში მხარეებს საშვალება აქვთ, სიმართლე აღადგინონ, რადგანაც ყველა ის წიგნები, რომელიც ექსპერტმა დაასახელა დამცველებს აქვთ. შმაკოვი კითხულობს:—ამსტერდამ შიგამოცემული თალმუდიცო? ზარუდნიმ უპასუხა:—გვაქსო. შმაკოვის შეკითხვის პასუხათ ექსპერტი ამბობს: ებრაელებს უნდოდათ სარატოვის საქმის სრულიად, გადამალვა. სასამართლომ გადასწყვიტა ხსენებული ოქმის ისტორიული ნაწილის წაკითხვა. სოკრატი ეკლესიის ისტორიაში ამბობს: ალექსანდრიაში 418 წელს ებრაელებმა ქრისტიანები დაარბიეს; 419 წ. ანტიოხიის მახლობლათ ებრაელებმა ქრისტიანთა ბავშები ჯვარს აცვეს—614 წელს ებრაელებმა სპარსეთის მეფისაგან 90 ათასი კაცი იყიდეს. ამათში ქრისტიანები სასტიკი წამებით მოკლეს. დიონ-ვასია ტროის ისტორიაში ამბობს: ვირენში ებრაელები ბერძნებსა და რომაელებს თავს დაესხენ. და ძლიერ აწამეს. მეთვრამეტე საუკუნიდან ებრაელები ქრისტიანებს რიტუალური მიზნით კლავენ. მსოფლიო ისტორიაში ამის ამბები ბევრია. მე-16 საუკუნის პოლონელ მწერალს პეტრე სკარგას მოყავს მაგალითები რიტუალური მკვლელობისა. პეტერბურგის სასულიერო აკადემიის, პროფესორმა ტროიცკიმ განაცხადა: საეკლესიო დღესასწაულების დროს სისხლის შეწირვას გაწმენდი მნიშვნელობა ქონდაო. შემდეგ იგი ეხება მოსეს კანონებს, ებრაელების ისტორიას, რიტუალურ მკვლელობას, თალმუდსა, ბიბლიასა და კაბალას. პროკურორის შეკითხვაზე ტროიცკი ამბობს: ებრაელი მისტიკების მოძღვრებას ვიცნობ, იერუსალიმში მათი ტაძრის დანგრევას შემდეგ სცადეს ამ ტაძრის ისევ აგება, მაგრამ ის კი არ ვიცი განაახლეს თუ არა? სხვერპლის ტაძრათ მიყვანა, უძველეს დროში სისხლის სხვერპლათ მიტანას დიდი მნიშვნელობა ქონდა. გადადუღებული სისხლის ხმარება ნებადართული იყო. ებრაელი აქიმი სააქიმო მიზნით სარგებლობდა სისხლით; ადამიანის სისხლის ხმარება არსად არ არის აღნიშნული. ტროიცკი რიტუალურ მკვლელობას უარყოფს. მაცაში სისხლის შეზავება მას ფანტასტიურ ბოდვათ მიაჩნია.

### რუსეთი.

**პოლტავა.** სოფელ ივანიცის გლეხები შუამდგომლობენ ოთხკლასიან საქალაქო შკოლის გახსნაზე. აძლევენ მიწას და სახლს 15 ათას მანეთად ღირებულს.

**ნოვოჩერკასკი.** შავ ჭირთან მებრძოლმა კომისიამ დაათ ალიერა ყველა ის ადგილი, სადაც ეს სენი მძვინვარებდა.

**პოლტავა.** მთავარი მოწმეების გამოუცხადებლობის გამო, ოლქის სასამართლომ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ ვარუნსეკრეტის საქმე გადაიდვა. დეპუტატს ვინმე პოპოვი ცილისწამებაში სდებს ბრალს.

### უცხოეთი.

**ლონდონი.** ინგლისსა და უელსში, ლონდონის გამოკლებით, მუშათა პარტიამ მუნიციპალურ არჩევნებზე ოცი თავის კაცი გაიყვანა.

**რომი.** აირჩიეს პარლამენტის არჩევნებზე 101 კაცი. აქიდან 46 მინისტრთა მომხრეა, 17 სოციალისტი, 3 კათოლიკე, 12 რადიკალი: 4 რესპუბლიკანელი და ერთიც რეფორმის მომხრე სოციალისტი.

## დღიური.

საფრანგეთმა ბულგარეთს სესხის მიცემაზე უარი უთხრა.

— ხმა, ვითომც ავსტრიასა და იტალიას ეპირის შესახებ საბერძნეთისათვის ულტიმატუმი წარედგინოსთ, ტყუილი გამოდგა.

— დიდი სახელმწიფოების დელეგატებმა და მათ შორის გერმანიისამ ავსტრიისა და იტალიის დელეგატთა წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს.

— სერბიამ საფრანგეთში სესხი იშოვა.

— მექსიკასთან [illegible] გამო, ამერიკის მთავრობა თავის ჯარს სამხრეთ ამზადებს.

— სოც.-დემოკრატიულმა ფრაქცია ბეილისის საქმის გამო პრესის დევნის შესახებ სათათბიროში შეკითხვა შეიტანა.

— ნობელის სამედიცინო პრემია შარლ რიშეს ერგო.

**ბუქარესტი.** ლიბერალთა კონგრესზე ლიბერალთა ბელადმა ბრატიანომ განაცხადა: რუმინიას ორი, თანასწორ მნიშვნელოვანი საკითხი აქვს გადასაწყვეტი. მახლობელ აღმოსავლეთში თავისი პრესტიჟის გამაგრება და ბალკანეთის საკითხი—საქმე: რუმინია ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდა მეზობელ ბალკანეთის სახელმწიფოებს, მაგრამ ამგვარივე მოპყრობას მოითხოვდა მათგანაც.

**რომი.** გაზეთის „მატენის" წინააღმდეგ სააგენტო „სტეფანი" აცხადებს: იტალიამ ავსტრიამ და უნგრეთმა სამი სახელმწიფოს შეთანხმებას ურჩიეს, რომ ათინაში განზრახული ზომები მიიღოს.

**გააგა.** გოლანდიის სამხედრო მისია 23 ოკტომბერს ტრიესტს მიდის, იქიდან 25 ოკტომბერს ვალონს წავა.

**ლონდონი.** ღამით განიზრახეს სტრიტ გემშლეს სადგურის დაწვა. სადგურზე იპოვეს ბენზინით დასოვლებული ბამბა, იპოვეს აგრეთვე სუფრაჟისტი ქალების პროკლამაციები.

**ბელგრადი.** გადაიცვალა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე სავაგრუიჩი, რომელიც მინისტრ პრეზიდენტისა და სამხედრო მინისტრის თანამდებობას ასრულებდა.

**ლონდონი.** პარლამენტის გახსნა თებერვლის პირველ რიცხვებამდი გადაიდვა.

**ბრიუსელი.** ბელგიის მეფე გერმანიაში წავიდა.

**ათინა.** გარეშე საქმეთა მინისტრმა ტანასმა ოსმალეთის დელეგატებთან ბაასის დროს, გაკვირვება გამოსთქვა მის გამო, რომ ოსმალეთმა მშვიდობიანობის შესახებ თავის პასუხი დააგვიანა.

**ბელგრადი.** ამ დღეებში დაიწყება მოლაპარაკება სერბიისა და ავსტრიის მთავრობას შორის, აღმოსავლეთში რკინის გზების ექსპლოატაციის შესახებ. იმედი აქვთ, რო მოლაპარაკება შეთანხმებით დასრულდება.

# გლეხთა საკითხი ამიერ-კავკასიაში.

**ს. ლ. ავალიანისა.**

კ. ა. ბოროზდინი თავის თხზულებაში— „მოგონებანი სამეგრელოსა და სვანეთზე" ამბობს „გლეხთა ისტორია ამიერკავკასიაში კიდევ მოელის პატივცემულ მუშაკს, რომელიც ამისთვის აუარებელ მასალას, სხვადასხვა არქივში გაბნეულს, რიგზე დააწყობს და შეამუშავებს"-ო.

ასეთი ტვირთი იკისრა და სავსებითაც შეასრულა ჩვენმა თანამემამულემ ს. ლ. ავალიანმა. ჯერ ჩვენ წინ ძევს მხოლოდ პირველი ტომი, რომელიც რამდენიმე ნაწილათ გაიყოფა: ა) ბატონყმობა საქართველოში რუსების მართველობის დამტკიცებამდი. ბ) ბატონყმობა და გლეხთა საკითხი საქართველოში რუსების მართველობის დროს. გ) გლეხთა რეფორმა ამიერკავკასიაში (თფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში). მე აქ სულაც ვერ ვკისრულობ ამ წიგნის სავსებით დაფასებას, ეს სპეციალისტისთვის მიმინდვია, მე მხოლოდ მსურს, მკითხველის ყურადღება მივაქციო ზოგიერთ ადგილს ამ წიგნისას. როგორც უკვე ვსთქვი, ეს პირველი ტომია, ასეთი კიდევ ხუთი წიგნი გამოვა, რომლის შემდეგაც შეგვეძლება სრული წარმოდგენა ვიქონიოთ გლეხთა საკითხზე ჩვენში.

პირველი თავი უფრო მშრალი მასალაა, აქ განხილულია ბატონყმობის პირობები, რომლის შესასწავლათაც უსარგებლია, როგორც ვახტანგის კანონით, ისე ჩვეულებებით, სიგელ-გუჯრებით, ნაჩუქრობითი ქაღალდებით, ვალების ხელწერილებით და სხ. აქ ამ თავში ახსნილია, თუ საიდან გაჩნდა ყმა. ა) „საქართველო მუდამ ომში იყო გაბმული, ომი იყო წყარო ყმებისა უცხო. ან სხვა სარწმუნეობის თუ ჩაუვარდებოდა ვისმე ტყვეთ „ის იყო საკუთრება (დამჭერისა) ნაყიდზე უფრო ძლიერი". ტყვე, მომავალი ყმა, სულ ერთია რა სარწმუნეობის არ უნდა ყოფილიყო, იწვევდა დავას იმის გამო, თუ ვის საკუთრებათ გამხდარიყო. ვინც პირველათ დასჭრა და ცხენიდან გადმოაგდო, ტყვეც იმისი იყო, მაგრამ თუ ვინმემ მტერი დასჭრა და მას ყურადღება არ მიაქცია, მაშინ ის კარგავდა ტყვეს, რომელიც გადადიოდა იმის საკუთრებათ, ვინც აიყვანდა და უპატრონებდა დაჭრილს".

ბ). ვახტანგის კანონის ძალით: ქურდი იმ ოთახში შეპარული „სადაც ცოლქმარს სძინავს" ვალდებულია დაუბრუნოს პატრონს. ნაქურდალის ფასი 7-ჯერ მეტი; პირადი გალანძღვისთვის კი, სისხლის ნახევარი ფასი გადაიხადოს, და თუ ამის შეძლება არ აქვს, მაშინ ის მთელი თავისი ოჯახითა და ქონებით დაზარალებულის საკუთრებათ ხდება.

გ). დამსმენი ეძლევა კაცათ იმ პირს, რომელსაც ბრალსა სდებდა და ვერ დაამტკიცა. დ). სასამართლოს გადაწყვეტილებით ერთი კაცი, მეორის ყმათ ხდება. ე). აგრეთვე თუ ვინმე ვალის გადახდას ვერ შესძლებს, მაშინ ის მოვალის საკუთრებათ ხდება, მხოლოთ იმ პირობით, რომ სხვა სარწმუნეობის კაცს არ უნდა მიყიდოს. ვ). უკანონოთ შობილნი, როგორც ვაჟნი, ისე ქალნი, გლეხათ ითვლებიან. კ). კაცის შეძენა საკუთრებათ შეიძლებოდა ყიდვითაც. ადამიანის ყიდვა-გაყიდვა ისე ხდებოდა, როგორც ცხოველისა, ნივთისა და მყიდველს ნაყიდზე შეუზღუდველი უფლება ქონდა. ლ). და ბოძება დასახლებული მამულებისა, რომელიც უძველესი დროიდან მე-XIX საუკ. არსებობდა. ბოძების უფლება ქონდა მეფეს, მეფის გვარს, ეკლესიას, მონასტერს და სხ. უნდა აღვნიშნოთ, რომ სამღვდელოება ყოველთვის წინააღმდეგი იყო ადამიანის ყიდვა-გაყიდვისა, და ყოველ ღონეს ხმარობდა ამის მოსასპობათ, მაგრამ ვერაფერს შველოდა.

ბ. ს. ავალიანის აზრით: **„ქართულ კანონს პრინციპიალურათ სწამს დაბალი ხალხის პირადი თავისუფლება, მაგრამ ფაქტიურათ ეს მხოლოდ ფიქცია არისო"**.

სხვადასხვა მიზეზის გამო, განსაკუთრებით მუდმივი ომისა და სიღარიბისა—ტყვეს, მონას, ყმას გათავისუფლებულს არ შეეძლო პირადი თავისუფლება შეენარჩუნებია. პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა მუდამ ძალას ატანდა, რომ მფარველი ეძებნა. სუსტი მხოლოდ ძლიერის ხელში შეეძლო უშიშრათ ყოფნაო.

ბატონს, როგორც ვიცით უსაზღვრო უფლება ქონდა გლეხზე, ყველაფერი მისია, გარდა ყმის სულისა ე. ი. მოკვლა ყმისა აკრძალული ქონდა ბატონს. აგრეთვე ქართული კანონი მედგრათ იცავს გლეხის ოჯახურ ცხოვრებას: „თუ კი ყმამ შეუწრო ბატონს ცოლთან, სულ ერთია დღე თუ ღამე და ამისთვის მოკლა ის, გლეხი არ ისჯება, რაც უნდა დიდი კაცი იყოს მისი ბატონი". ამ პირველ თავში, როგორც უკვე ვსთქვი, მოყვანილია კანონი და ჩვეულებები ბატონ-ყმას შუა ურთიერთობისა. აქ ბევრი მაგალითია ჩამოთვლილი, თუ ვინ ვის მიყიდა თავისი გლეხი, ან რამდენსად დააგირავა. არის ნაჩვენები აგრეთვე ის კანონები, თუ რის გულისათვის შეიძლებოდა გლეხი ყოფილიყო თავისუფალი.

ახლა მოკლეთ შევეხოთ უფრო საგულისხმოს ჩვენთვის რუსეთის მთავრობას ამიერ კავკასიაში: „რუსეთის მთავრობას არ ქონდა გარკვეული პროგრამა და ყოველი მოხელე თავისებურათ მართავდა, რასაც დიდი არეულობა შექონდა. მათ სრულიად არ ქონდათ შესწავლილი ადგილობრივი ადათი, ჩვეულებები და ამიტომ არ არის გასაკვირველი, როცა ადგილობრივმა მცხოვრებმა ზურგი უჩვენა რუსთა მთავრობას და იწყო მღელვარება"-ო.

**გლეხთა მღელვარება** ბ. ს. ავალიანს ძლიერ მოკლეთ აქვს განმარტებული, მაგრამ არა იმიტომ, რომ ამის შესახებ მასალები ცოტა იყოს, არამედ, როგორც თვითონ ამბობს, ნამეტანი ძნელი ყოფილა მონახვა და დალაგებულათ აღწერა. გლეხთა მღელვარების მიზეზები იყო მათი უმწეო მდგომარეობა და ადგილობრივი უკანონობა როგორც ბატონთა, ისე მთავრობის მხრით. აღელვებისთვის ყოველგან ნიადაგი მზათ იყო და კიდევაც შეეძლო კარგი ნაყოფიც მოეტანა, რომ ეს მოძრაობა ყოფილიყო წინასწარ მოფიქრებული, ყოლოდა მას მცოდნე წინამძღოლი და ყოველგან ერთ დროს მომხდარიყო. განსაკუთრებით მძლავრი და საშიში ხასიათი მიიღო კახეთის 1812 წ. და სამეგრელოს 1857 წ. ამბოხებამ. პირველი კარგათ აქვს აწერილი ბ. ფრონელს, მეორეს შესახებ ჯერ კი არაფერია, და იმედია ბ ს. ავალიანი მას ვრცლათ შეეხება განსაკუთრებულ შრომაში.

„1803 წ. სოფ. ლომისყანის გლეხები აჯანყდენ და თავ. შ. და რ. ერისთავები მოკლეს, აგრეთვე სოფლის მცველები დაატყვევეს.

1812 წელს კახეთის ამბოხება მოხდა, გაგძელდა ოთხ თვეს, რომელსაც გენერალმა რტიშჩევმა „უსაშინელესი რევოლუცია" უწოდა.

1841 წ. გურიაში ისევ იფეთქა თავი მღელვარებამ, თითქმის მთელ გურია მოედვა, და დიდი წინააღმდეგობა გაუწია ჯარს.

1858 წელს ამაღლებისა და ბაღდადის მაზრის გლეხები აღელდენ (რიცხვი 4,000 კ.) ბატონების წინააღმდეგ. აქ მთავრობა ჩაერია და მღელვარება მო[illegible] სპო". საყურადღებოა რუსთა ტაქტიკა ამ შემთხვევაში. იმ დროს როცა რუსეთის შიდა გუბერნიებში ყოველივე ამბოხებას სასტიკათ ამარცხებდა, მუდამ გლეხებს სჯიდა და თავად-აზნაურობის მხარე ეჭირა, ჩვენში მეტ ყურადღებას გლეხების ჩივილს აქცევდა

სამეგრელოში მღელვარებამ 1857 წ. საშიში ხასიათი მიიღო, მთელი ოდიში აჯანყდა, წანამძღოლნი აჯანყებულთა იყვენ უთუა*) თოდუა და უთუა მიქავა, რომელთაც ნაჯახებითა და ჯოხებით შეიარაღებული 10,000 კაცი ყავდათ. მიქავას ქონია დიდი გავლენა ხალხზე, რომელთაც აიმედებდა იმით, რომ რუსები ჩვენს მხარეზე არიანო და, მართლაც მიქავას რუსების მხარე ეჭირა, მათგან მოელოდა შველას, ატყობდა, რომ რუსების ხელში უკეთესია ცხოვრება, ვიდრე დადიან-ჩიქოვანების ხელში. (ჩიქოვანები—მოურავები იყვენ და ძლიერ მკაცრათ ეპყრობოდენ გლეხებსო). მეამბოხეთა მოთხოვნილებაში სხვათა შორის შეხვდებით შემდეგს: „წოდება თავადი და აზნაური არ უნდა იყოს, რადგან ყველა ძმა ვართ". „ფუფუნება-ცოდვაა, აკრძალულია ძვირფასათ შეკერილი ჩოხის ჩაცმა". „ვაჭართა მოგება უნდა იყოს განსაზღვრული"-ო ბ. ს. ავალიანს მოყავს გენერ. კოლიუბაკინის რაპორტი და ამბობს: „სამეგრელოში მოძრაობა

*) მე გამიგონია მართალი თოდუა ბოროზდინსაც მართალი ყავს წანამძღოლათ ნაჩვენები. ბ—ძე.

# ...სწორი ქართული.

1.

ამ სათაურით მწადია მკითხველებს ...როგამოშვებით გავუთვალისწინო ზოგ...იერთი შეცთომა, რომელიც ქართული ...ურნალ-გაზეთებისა თუ წიგნების კითხ...ის დროს ჩემს ყურადღებას მიიქცევს.

შესაძლებელია—ზოგი რამ იმისთანა ...ვიხსენიო, რაც უკვე განმარტებულია ...მგანაც და სხვებისგანაც, მაგრამ მკითხ...ელი ამისთვის ნუ მისაყვედურებს: სა...წუხაროთ, ჭეშმარიტება უმეტეს ნაწილათ ...დის გაჭირვებით იკვლევს გზას—და ...ვარი ჩიჩინია საჭირო, რომ ცხოვრება...ი ფეხი მოიკიდოს.

მე არ მწადია—იმისთანა ფორმებსა თუ ...მოთქმებზე შევჩერდე, რომლის არჩე...ც თითოეული პირის გემოვნებაზეა და...კიდებული და შეიძლება ასეც ითქვას და ...ეც, მაგალ. კატად და კატათ, მოვიდნენ და ...ვიდენ და სხვ.; უმთავრესათ იმისთანა ...ცთომები მინდა აღვნიშნო, რომელსაც ...სამართლებელი საფუძველი არ აქვს და ...კარა შეცთომებათ უნდა ჩაითვალოს.

დღევანდელ წერილში მკითხველის ყუ...ადღება მინდა მივაქციო „იმერეთისა“ ...ა „სახალხო გაზეთის“ კვირის (20 ოკ...ომბრის) ნუმრების ზოგიერთ შეცთო...ს. ორივე გაზეთის განცხადებებში ნა...მარია ფულის ამგვარი ანგარიში: 10 კა...კიო, 25 კაპ., 60 კაპ. და სხვ.

ქართველის გაურყვნელი სმენისათვის ...მგვარი ანგარიში შეუწყნარებელია: ...რთველი ხალხი არაოდეს არ იტყ...ს „ხუთ კაპიკათ ვიყიდე“, „ათი კა...კიო მივეცი“ „ოცდახუთ კაპიკათ დამიფა...სო“ და სხვ.; ხალხი შაურობითა და ...აზობით ანგარიშობს, და თუ კაპიკების ...ანგარიშო რიცხვი უნაშთოდ იყოფა ...ზე (მაგალ. 5, 10, 15, 20, 25, 30 ...ა სხვ.), იმ შემთხვევაში ან შაურათ ...მოითქმის, ან აბაზათ; დანარჩენ შე...ხვევაში კი—კაპიკებათ; მაგალ. შაური...თ ითქმის: ერთი, ორი, სამი, ხუთი, ...ქსი, შვიდი, ცხრა, ათი, თერთმეტი, ...მეტი, თოთხმეტი, თუთხმეტი, ჩვიდმე...ტი, თვრამეტი, ცხრამეტი; აბაზებათ გა...ითქმის: ერთი აბაზი (და არა ოთხი ...ური, არც 20 კაპ.), ორი აბაზი, სამი ...აზი, ოთხი აბაზი, ექვსი აბაზი, შვიდი ...აზი, რვა, ცხრა, თერთმეტი, თორმეტი ...აზი და სხვ.

...ორ შაურს კიდევ უზალთუნი ეწოდება, ...თხმეტ შაურს კიდევ სამ აბაზ-ნახევარს ...წოდებს ხალხი (ან სამ აბაზ-უზალთუნს), 18 შაურს—ოთხ აბაზ-ნახევარს (ოთხ აბაზ-უზალთუნს და სხვ.

კაპიკობით უნდა ვიანგარიშოთ: 6, 7, 8, 9, 11, 12, 13, 14, 16, 17, 18, 19, 21, 22, 23, 24, 26, 27 და სხვ., ე. ი. რაც სრულ შაურებს ან სრულ აბაზებს არ შეადგენს.

ასეთია ათასწლობით შეთვისებული ქართული ანგარიში—და საუბარსა და მწერლობაში უსათუოთ ასე უნდა გამოვსთქვათ და კიდევაც დავსწეროთ.

რაც შეეხება არითმეტიკულ მოქმედებას, იქ, ანგარიშისა და მოქმედების გასაადვილებლათ, შეიძლება კაპიკების რიცხვი ვსწეროთ, მაგრამ გამოთქმით უსათუოთ შაურობითა და აბაზობით უნდა გამოვსთქვათ, რადგან უამისოთ ენის, სიტყვიერების კანონი და სისწორე შეირყვნება, გაუაგვარდება.

„სახალხოში“ იქვე ნახმარია: 1) „უკმაყოფილოა კურსით“, 2) ადვილად შესაძლებელია“, 3) „იგინივე პირნი“, 4) „წაიკითხავენ“, „გვიკრძალავენ“, 5 („გაანთავისუფლეს“, 6) „გადასწყვიტავდით“, 7) „სკრიპკა“ და სხვ.; უნდა იყოს: 1) უკმაყოფილოა (რისა?) კურსისა, 2) ადვილი შესაძლებელია, 3) იგივე პირნი, 4) წაიკითხვენ, გვიკრძალვენ, 5) გაათავისუფლეს, 6) გადასწყვეტდით, 7) „ვიოლონი“ (ან ჭიანური).

„იმერეთის“ იმავე ნუმერში ნახმარია: 1) „რამისთვის“, 2) „კონკა“, 3) „უბედურობის“, 4) „წასული ცხოვრება და სხვ.; უნდა იყოს: 1) რისთვისმე, 2) ტრამვაი, 3) უბედურება, 4) წარსული ცხოვრება.

ტერმინები „სკრიპკა“ და „კონკა“ იმიტომ არის შეუფერებელი, რომ ცნებები, რომელსაც ისინი ხატვენ, რუსის ხალხში კი არ დაბადებულა, არამედ უცხოეთში დაიბადა და შემუშავდა—და როცა უცხო ტერმინებს ვსესხულობთ, უმჯობესია პირველ წყაროს მივმართოთ. თუმცა დღემდი ტერმინათ „ჭიანურს“ ვხმარობდით, მაგრამ ჩვენებური „ჭიანური“ მხოლოდ ჩამოგავს „ვიოლონს“, სრულათ კი ამ ცნებას ვერ ხატავს.

სილოვ. ხუნდაძე.

# წერილი ხარკოვიდან.

(„ცოტა რამ ზელიმ-ხანზე“.

ამ სათაურით 6 ოქტომბრის „იუჟნი-კრაის“ 11663 ნუმერში მოათავსა ვიღაც ბაბეცკიმ წერილი, რომელიც ზელიმ-ხანის ვინაობასთან ერთად ეხება ჩვენი ქვეყნის ერთ მხარეს, გურიას და ასწერს მას შემდეგი სიტყვებით: „მთელ ღარიბ კავკასიაში რას უნდა მიჰყოს ადამიანმა ხელი თუ არა ავაზაკობას, ცარცვა-გლეჯასა და ქურდობას... „სხვათა შორის“ —განაგრძობს ბაბეცკი—„ხომ იცით—სილამაზით განთქმული გურული ქალები და მათი ქალიშვილები ბათომის ახლო მდებარე მხრისა, გადიან ქალაქ ფოთში, ყიდიან თავს ათ მანეთად და აღებული ფულით იკვებებიან-ო“. ქართველი სტუდენტობა აალელვა ასეთმა უდიერმა საქციელმა, ყველა აღელდა, ვინ რას გაიძახოდა და ვინ რას... ბოლოს დასწერეს საპროტესტო წერილი და გაუგზავნეს ადგილობრივ გაზეთ „უტროს“ რედაქციას. სიტყვა სიტყვით მოვიყვან ამ წერილის შინაარსს...

(წერილი რედაქციის მიმართ). გთხოვთ ქვემორე მოყვანილ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში: 6 ოკტომბერს „იუჟნი კრაის“ 11663 ნუმერში მოთავსებულია წერილი ბ-ნ ბაბეცკისა—„ცოტა რამ ზელიმ-ხანზე“, სადაც ამ „ცოტა რამეში“ შერეულია ისეთი რამ, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არ აქვს არც ზელიმ-ხანთან და არც მის სამწუხარო მოქმედებასთან, მხოლოდ ეხება ჩვენი კუთხის საუკეთესო მხარეს გურიას და ჩრდილავს მას, რის გამოც ჩვენ ამ წერილს უპასუხოთ ვერ დავტოვებთ...

ხსენებულ წერილში ვიღაც მოცლილი ინჟინერი, რომელიც შეიძლება კარგი მცოდნეც იყოს თავისი პროფესიის, მაგრამ, როგორც ეტყობა, უცოდინარი ყოფილა გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის და აი, ეს ვაჟბატონი მარტავს ბაბეცკის წინაშე თავის პოლიტიკურსა და ეკონომიურ ფილოსოფიას კავკასიის ავაზაკების შესახებ. გატაცებული ფილოსოფოსი მიტოკავს და თანდათან ხსნის ფარდას იმ ადგილებს, საიდანაც ამოცურდა ზელიმ-ხანის ფიგურა. ვინ არ იცის, რომ უმთავრესი სამოქმედო რაიონი ზელიმ-ხანისა თერგისა და დაღესტნის ოლქი იყო?

თავის გამოკვლევის დროს—თუ რა მიზეზებმა შექმნა ეს ავაზაკი, რომლის მზგავსაც ხედავს მცხოვრებთა უღარიბეს ნაწილში—ეს ინჟინერი—ფილოსოფოსი ასწრებს ბათომსა და ფოთს (!!) კასპის ზღვის მხრის ჩაჩნებ შორის მომხდარ მოვლენას აწერს იმ მიზეზებს, რაც გურიაშია, შავი ზღვის პირათ. მაგრამ უბედურება ეს კიდევ არ არის: ის აწერს იმას, რაც სინამდვილეს მოკლებულია... აი, მაგალითად რას ამბობს: „აქ ისეთი სიღარიბეა, რომ ცხოვრება შეუძლებელია, თუ არა ავაზაკობა—სხვათა შორის, ვინ არ იცის სილამაზით შემკული გურული ქალები ბათომის მხრისა და მათი ქალიშვილები, რომელნიც ათ მანეთად ყიდიან თავს ფოთის სავაჭროზე და სხვა ადგილებში, და ყველა ეს ხდება გამოჩენილათო.“

ჩვენი დებისა და დედების ნაცვლათ სირცხვილით ვიწვით და ამის გამო ენერგიულათ პროტესტს ვუცხადებთ ბაბეცკის, რომელმაც მოურიდებლათ ჩირქი მოგვცხო და მით ავრცელებს ყალბ ხმებს და მასთან ერთად „იუჟნი კრაის“ რედაქციასაც, რომელიც ასეთ წერილებს ადგილს უთმობს...

პირველათ იმიტომ, რომ, როგორც ვსთქვით, სად ზელიმ-ხანი და სად ბათომი, ფოთი და სად გურია, რაა მათ შორის საერთო და რა აკავშირებს მათ!?

მეორეთ—თუ ვიტყვით გურულ ქალებზე „ბათომის ახლო მხრისა“, ისინი ხომ მაჰმადიანები არიან და „გამოჩენილათ“ თავის გაყიდვა კი არა, კარში გამოსულთ ვერ ნახავთ, და თუ შეხვდათ, ისიც ჩადრ წამოსხმულთ.

მოცლილი ინჟინერის მიხედვით ისინი კიდევაც მიდიან „თავის გასაყიდათ“ ფოთში და შემდეგ „თავის გაყიდვისა ათ მანეთად, იყიდიან ცხვრის ხორცსა და ერთ ტომარ ფქვილს და ამრიგათ დატვირთული აულში ბრუნდებიან“!!!

ერთი ესა, რომ ჩვენში ქალები ტომრებს არ ატარებენ და მეორე ის, რომ შეიძლება იფიქროს ადამიანმა ინჟინერ-ფილოსოფოსის მოთხრობით, რომ ფოთი და გურია ისე ახლოსაა ერთი მეორესთან როგორც „ცივი მთა“ და „ხელიონაია მაია“ ხარკოვისათვის, სადაც ფქვილისა და ხორცის საწყობებია ბათომისათვის?!!

ნამდვილათ კი ბათომი გურიაშია და ფოთი კი—ოდიშში და მათ შორის 50—70 ვერსი იქნება!!! როგორ შეიძლება ერთი ტომარი ფქვილი და ხორცი ზურგით წაიღოს ადამიანმა 50—70 ვერსის მანძილზე, და ისიც ქალმა!!

კავკასიის სტატისტიკური ცნობები იბეჭდებოდა წასულ ზაფხულში „სახალხო გაზეთში“ და ამ ცნობების მიხედვით გურია უმდიდრესი მხარე გამოდგა მთელ დასავლეთ საქართველოში!..

წარმოუდგენელია, რომ მდიდარი ხალხი მიდიოდეს ღარიბებთან და იქ ყიდულობდეს „ტომარ ფქვილს“ და „თავსაც ყიდდეს“. დასაჯერებელია ფილოსოფოსის სიტყვა? ეს რომელი ფილოსოფიურ-ეკონომიური კანონების ძალით ხდება ასე!?

ეს ბრძენი ინჟინერი, თავის მოთხრობას შემდეგ მედიდურათ გრძნობს თავს, თითქმის დასკვნის მაგიერ მოგვითხრობს ... „ესე აუცილებელი“ საჭიროა ... რომ წარმოდგენა ... მცხოვრებლებზე, ავაზაკობასა და მათ უზნეობაზე„-ო.

სწორეთ ამ ინჟინერის მოთხრობით შეგიძლიათ გაიგოთ, მაგრამ ზელიმ-ხანის წარმოშობის მიზეზები და გურიის მხარე კი არა, არამედ ის, რაც ჩვენ გვაყუჩებს და რის გამოც ძნელათ წარმოსადგენია, სიამოვნება ეგრძნო ამ ბრძენს!

გათამამდა ბრძენი და განაგრძობს ბრძნულ სიტყვებს: „ქვეყანაზე არსებობს მეფე, რომელიც ყოველთვის შეუბრალებელია—სახელი მისი „შიმშილი“. და აი, ეს მეფე მეფობს და კლანჭებში უკავია კავკასიის „მთელი ოლქები“!!.

„სიღარიბე სიდუხჭირე არ არისო“—ამბობს რუსული ანდაზა, და არც ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენში სიღარიბე არ არსებობს... მხოლოდ ერთს ვიტყვით. როდესაც გიმნაზიაში ვიყავით, თითქმის ყოველ წლობით ფულს კრეფდენ დამშეულთათვის და ყველა ეს მიდიოდა რუსეთში. ჩვენც მონაწილეობას ვიღებდით და თითო ოროლა შაურს ვაგროვებდით. ამ დროს რუსეთში ფულს აგროვებდენ კავკასიაში დამშეულთათვის? თუ ბრძენი ინჟინერი ხშირათ უყვება ბაბეცკის ზღაპრებს, ნუთუ მან, როგორც უცოდინარმა, ვერ გაიგო, სად მიდიოდა ამდენი ფული, შეკრებილი დამშეულთათვის? ან არა და ვერ შენიშნა „იუჟნი კრაის“ ფანჯრებზე გაკრული პლაკატები, რომელიც ხალხს შემწეობისათვის იწვევდა?!.

რუსის ინტელიგენციის უმეტეს ნაწილს ასე აქვს ჩვენი ქვეყანა წარმოდგენილი, და ყველა ეს ასეთი ვაჟბატონების ბრალია, ახლა კი როდესაც ჩვენს მხარეს ტურისტები დაეწაფენ და ყოველი მხრით გამოკვლევა სურთ, დიდ ხელს უშლის ბრძენი ფილოსოფოს-ინჟინერის მზგავსი წერილები და ჩვენს სამშობლოს ჩრდილავს. აი, ამან გვაიძულა, და თავსაც ვალდებულათ ვრაცხთ, შეძლებისამებ, პასუხი გავსცეთ ასეთ არამკითხე ვაჟბატონებს...

სტუდენტები: კ. ცაგარელი, ა. კანდელაკი. ვ. ჯუღელი, ი. ჟღენტი, ვ. გუბელაძე, გ. ბარათაშვილი, მ. ფხალაძე, ვ. პაიჭაძე, შ. ლორთქიფანიძე, მ. ნემსაძე, კ. აბულაძე, ვ. როინიშვილი, ტ. როინიშვილი, გ. ცაგარელი, ჯ.

---

...იერ დააჩქარა გლეხთა რეფორმის სა...თხი ამიერ კავკასიაში“-ო. მართლაც ...უძლებელი იყო ასეთ აღელვებას უხ...ლოთ ჩაევლო და მთავრობას ყურადღება ...მიექცია.

...რუსეთში გლეხთა გათავისუფლება 19 ...ებერვალს 1861 წ. მოხდა, ხოლო ჩვენ... (თფილისის გუბერნიაში) კი 1864 წ. ...სამი წელი მოანდომეს იმის გამო...კვლევას, თუ რა სახით გაეთავისუფლებიათ ...ქართველოში გლეხი, ამისთვის დაარ...სეს თავად-აზნაურთა კომიტეტები და მათ ...ანდვეს ამ საკითხის გადაწყვეტა. რა...კვირველია, როგორც მოსალოდნელი ...ო, თავად-აზნაურობამ უფრო თავის...ას დაიწყო ზრუნვა: „რადგან თავად-...აზნაურობამ კარგათ იცოდა, რომ რე...ფორმა აუცილებელი იყო, ყოველი ღო...ნისძიება იხმარა იმისთვის, რომ გლეხთა გათა...ვისუფლებას შემდეგ მას რაც შეიძლება ...ტი უფლება და მოგება დარჩენოდა“-ო, ...ამბობს ბ. ს. ავალიანი.

...თავად-აზნაურთა უმრავლესობა თანახ...ა, რომ გლეხს პირადი თავისუფლება ...ა უმიწაწყლოთ) მიეცეს, მხოლოდ იმ ...რობით, რომ მთავრობამ ამ გლეხთა ...მის დაკარგვა აანაზღაუროს. „თავად-...აზნაურობა, როცა გლეხს მისცემს თავი...სუფლებას უმიწა-წყლოთ, ის მას არ ...აგდებს დაფუძნებული მიწიდან, არამედ ...მისცემს გლეხს უფლებას—იყოს მიწაზე ...ის პირობით, ან როგორც მუდმივი ...იჯარადარე“. „გლეხთა გადაყვანა, ...ებით ვალდებულთა მდგომარეობაში, ...ს რადიკალურ საშვალებათ მიაჩნ...ო.

...ყურადღებოა გორელ თავად-აზნაურ...ზრი, როგორც გამომხატველი ყვე...მერის ბატონებისა: „თავად-აზნაუ... გლეხები თავის შვილებათ მიაჩნიათ ...გლეხებს ბატონები თავის მამათ, ერთის გაჭირვება მეორის გაჭირვებას შეადგენს და თქვენ რათ გსურთ ჩვენ შორის შური და მტრობა დათესოთო. მათ უნდოდათ დაემტკიცებიათ, რომ გლეხები უბატონოთ ვერ იცხოვრებენ, რომ გლეხები თვითონ არიან გათავისუფლების წინააღმდეგი და სხვა. თავად-აზნაურობამ თფილისის გუბერნიის მცხოვრები გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებელი პროექტის შედგენა მიანდო დიმიტრი ყიფიანს, როგორც ყველაზე უფრო მცოდნე ადამიანს. ამ პროექტს დართული აქვს დ. ყიფიანისვე მოხსენება გლეხთა საქმეზე, რომლის ძირითადი დებულება და მოსაზრებანიც აზნაურთა საბჭოს აზრს სრულიად ეთანხმება.

„დ. ყიფიანმა, როგორც აზნაურთა იდეალების საუკეთესო გამომხატველმა, თავისი მოვალეობა სინიდისიერათ შეასრულა“. დიმიტრი ყიფიანი გლეხთა მხოლოდ პირად გათავისუფლებას იცავს, მიწა-წყლით კი მათი გათავისუფლება პირდაპირ შეუძლებლათ მიაჩნია. ამის დასამტკიცებლათ მას მოყავს ბევრი საბუთი. სხვათა შორის, მე-11 მუხლში სწერდა: „თუ გლეხს, მიწა საკუთრებათ მიეცემა, მაშინ მეპატრონეებს დარჩენიათ ჯოხით ხელში გზას გაუდგენ, რათა ეძიონ პური არსებობისაო.

სამაგალითოდ ახასიათებს დიმტრი ყიფიანს შემდეგი აფორიზმი: „გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, გული ექვს გარეშეა, ყოველ ჩვენთაგანს (მებატონეს) გველაპარაკება, რომ გლეხის გათავისუფლება მიწიანათ უკეთესი იქნება, მუშას მაგრამ ყოველნაირათ ეწინააღმდეგება ამ გადაწყვეტილებას“-ო. ასეთივე აზრისა იყო ცოტათ თუ ბევრათ მოწინავე თავად-აზნაურობა, და მართლაც შეუძლებელია მოსთხოვოთ ბატონებს, უარყავით თქვენი ყოველგვარი უფლება გლეხთა საკეთილდღეოთ-ო, ეს უნდა ცოდნოდა მთავრობას და ამიტომაც არ უნდა მიენდო თავ. აზნაურ. ამ საკითხის გადაწყვეტა.

ერთადერთი მებატონეთაგანი, რომელიც მთელ თავად-აზნაურობას და ცენტრალურ კომიტეტს ოპოზაციაში უდგა, რომელიც მედგრათა და სავსებით იცავდა გლეხთა ინტერესსო—იყო ილია ჭავჭავაძე. „მთელი პროექტი—აცხადებს თავ ჭავჭავაძე, თეორიის მიხედვით შეუდგენიათ, ბატონ-ყმობის მდგომარეობა კი არ ცოდნიათ, რომლის ძალაუნებურათაც ძირიანათ ამოთხრა სურთ“-ო, ამასთანავე ის მომსპობი საშვალება, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი გვაძლევს ისეთია, რომ „ბატონობას არათუ ისპობა, არამედ ხარისხით უფრო მაგრდება, გლეხთა მდგომარეობას უფრო აფუჭებს, გიდრე აქამდი იყოვო“. ამ საკითხის გადაწყვეტის ერთადერთი საშვალება, რომელიც ადვილი შესაძლებელია და აუცილებელიც ისაა, რომ „ორივე წოდება ერთმანეთისგან დამოუკიდებელი არ იყოს, არც პირადათ და არც ქონებრივათ“-ო. რეფორმის აზრი და ღირსება ისაა, რომ „გლეხობა გათავისუფლდეს, როგორც პირადათ, ისე ქონებრივათაც ყოველგვარი დამოკიდებულებისგან მებატონეების შესახებ“-ო... გლეხს ეკუთნის უფლება, „მუშაობის და კაპიტალის“, ე. ი. მათგან გაკეთებულ შენობაზე, ვენახზე, ბაღზე. „ყველა ეს უეჭველათ ეკუთნის გლეხს, როგორც საკუთრება თვისი“-ო.

ჭავჭავაძის აზრით: „გლეხთა მდგომარეობა შეუძლებელია გაუმჯობესდეს ისე, თუ მას (გლეხს) მიწა არ მიეცა, გლეხების მიწებით აღჭურვა მას მიაჩნია აუცილებელ საშვალებათ, ურომლისოთაც რეფორმა ზედმეტი და არა სასურველია“-ო.

ამრიგათ ილია ჭავჭავაძე ერთადერთი კაცი იყო, რომელმაც მედგარი იერიში მიიტანა ცენტრალურ კომიტეტზე და თავის წოდებაზე, მან უშიშრათ აღიარა, რომ გლეხების გათავისუფლება უმიწაწყლოთ უნაყოფოა და არა სასურველი. (როცა ყველა ამას ეცნობი ერთჯერ კიდევ გებადება აზრი,—თუ რას უკიჟინებდენ ის „ჩამონაჭრების“ მოტრფიალენი 1905 წ. იმ კაცს, რომელიც 1863 წელს გლეხის სრულ მიწიანათ გათავისუფლებას ითხოვდა?).

ვერ უშველა ილია ჭავჭავაძის მედგარმა ბრძოლამ, გასჭრა უმრავლესობის წუწუნმა და გლეხთა გათავისუფლების გულისთვის თფილისის თავად-აზნაურობას მეფის ბძანებით ხაზინიდან მიეცა 2 მილიონი მანეთი. გაათავისუფლეს გლეხი, მაგრამ ვაი ასეთ გათავისუფლებას: „ჩვენის დაფასებით ამ ახალის უფლებრივისა და მატერიალური მდგომარეობით თფილისის გუბერნიის გლეხთადმი ბოძებულისა, ჩანს, რომ თუმცა გლეხობამ არსებითად პირადი თავისუფლება მიიღო, მაგრამ მატერიალური მხრით, უწინდელზე შედარებით უარეს მდგომარეობაში ჩავარდა, ისინი პირდაპირ პროლეტარიზაციის გზას დაადგნენ“-ო. ჩვენ ერთჯერ ვსთქვით, რომ მთავრობას არ ქონდა გარკვეული გზა, არ იცოდა, როგორ და რა კანონით ემართა საქართველო, ის ერთმანეთში ურევდა ადგილობრივ ჩვეულებებსა და რუსეთის იმპერიის კანონებს და აი „მკაცრი კანონისა და ცვალებადი ჩვეულების არევა შეიქნა ერთი უმთავრესი ნაკლთაგანი ადგილობრივი მდგომარეობისა. ამ სერიოზული ნაკლულევანების მაჩვენებელია დღემდი დარჩენილი დროებით ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტი. თფილისის გუბერნიაში 1904 წ. 2702 მებატონე იყო დროებით ვალდებულთა მეპატრონე, დროებით ვალდებულ გლეხთა რიცხვი კი 17,467 კომლს შეადგენდა“-ო.

განვლო ნახევარმა საუკუნეზე მეტმა გლეხთა გათავისუფლებას შემდეგ, 50 წ. იუბილე უკვე იდღესასწაულეს, სახელმწიფო სათათბირო მეოთხეჯერ შეიკრიბა და, ვინ იცის, კიდევ რით გადასწყდება ეს სამარცხვინო ნაშთი გათავისუფლებისა*). თუ რა ბედი ხვდა თავად-აზნაურობას, ეს ყველამ კარგათ ვიცით, ფუფუნებასა და უსაქმობას მიჩვეული (მათი საქმე ომი და მამულის დაცვა იყო) გლეხთა გათავისუფლებას შემდეგ ძლიერ ცუდს მდგომარეობაში ჩავარდა, ფული, რომელიც წილათ ხვდა მათ, იმის მაგიერ, რომ ოჯახისთვის მოეხმარათ, ქეიფსა და ტანისამოსში დახარჯეს, მოთხოვნილებამ იმატა, შემოსავალმა იკლო და ამნაირათ თავისი მამული, ან ბანკს შეანარჩუნეს, ან უცხო ტომის ხალხს მიყიდეს.

ქუთაისის გუბერნიაში გლეხთა გათავისუფლება 8 ნოემბერს 1866 წელს მოხდა, ამ საკითხის გამოკვლევას ადგილობრივი პირობების მიხედვით 2 წელიწადი მოანდომეს. აქაც თავად-აზნაურობას ქონდა მინდობილი ამის გამორკვევა, მაგრამ აქ უფრო რიგიანი წარმოიბაა, რადგან პრაკტიკა უკვე ქონდათ ხელმძღვანელებს, თუმცა აქაც გამეორდა ყველა ის უთანხმოება, რაც თფილისში იყო. აქაც თავად-აზნაურობამ გლეხთა გათავისუფლების გულისთვის მიიღო 2,823,815 მანეთი ხაზინიდან. ქუთაისის გუბერნიის გლეხებსა და თავად-აზნაურობასაც იგივე წილი ხვდა, როგორიც თფილისისას.

ეს წიგნი დაწერილია რუსულ ენაზე—შეიცავს 530 გვერდს, გამოცემულია ადესაში და ღირს 2 მ. 50 კ. წიგნი დაწერილია მდაბიო, ყველასთვის გასაგები ენით.

ბარდლა.

*) როგორც ვიცით, სახ. საბჭომ დროებით ვალდებულთ მიაწიჯა მამულთა გამოყიდვის უფლება. აქაც გუდშეკვეცილათ.

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის ძმ—ბის
ქუთაისში.

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აბრეშუმის ჭიის თესლის

ხ. ხრისტოდულიდის

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრისტეშობისთვემდე ა/წ. შეუკვეთს თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთისა, რომელშიც 200 კოლოფია ექვს მისხლიანი. მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 კ. ... ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება ... საწყობში ქუთაისში ... ვაჭრობში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია ლეგენტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმურკაში.

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერას ქ. ქუთაისში.

ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე

მოეპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი, სათვალო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ტაკზე საფენი „ლინელიუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი სათვალო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თ... ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 1...

მეძმარიაშვილი, ა. ლოლაძე, გ. გამრეკელი, კ. იოსელიანი, ლ. ელიაშვილი, ა. ნიკოლაიშვილი, ტ. ყრუაშვილი, ა. ბერეკაშვილი, ა. ბაქრაძე, ტატიშვილი, სტანიბევსკი, ა. ჭირაქაძე, ვ. ლეშკაბელი, კ. ჩიქოვანი, კორძაია, ს. ხომასურიძე, ს. ჩხიკვაძე, ანდრიაძე, ა. კიკვაძე, ფირცხალაული, ნ. გურგენიძე, ა. ახვლედიანი, ს. ბარათაშვილი, ვ. ხრალვაძე, მ. ამაშუკელი, მ. პატარაია, კ. კვანტაძე, გ. ყიფშიძე, ვ. გამხოტაძიანი, ნ. ოგანეზოვი, მაკარაშვილი, ვ. ყიფშიძე, ს. გომართელი, ლ. წერეთელი, თ. წერეთელი, მ. ჟორჟოლაძე, მ. ლორია, ნ. ნადარეიშვილი, წ. გრიგოლია, ი. ჯულელი. რავილაძე, შარაშიძე, მ. მოსეშვილი, მ. აბულაძე, მ. სამატაშვილი, პეკიძე, კ. ცაგარეიშვილი, ვ. წერეთელი, თ. ჭუმბურიძე, ლ. ფაღავა, დ. ჩხეიძე, ს. კიკაბიძე, ნ. მდივანი, ძნელაძე და ოთხი ხელი გაურჩეველია.

ლ. ფ—ა.

ხარკოვი, 16 ოკტომბერი.

## თეატრი და ხელოვნება.

**„გადაჭრილი მუხა“**
**პიესა შალიკაშვილისა.**
**კვირა 20 ოკტომბერი.**

„ადამიანი მისთვის იბადება, რომ ცხოვრების უაზრობაში დარწმუნდესო“ — მოყავს თავის პიესაში ბ-ნ შალიკაშვილს მეტერლინკის სიტყვები და თან თავის მხრით გოლას პირით დასძენს: „მე კი ვიტყოდი, ადამიანი იმისთვის იბადება, რომ თავის არარაობაში დარწმუნდესო“.

არა გვგონია ქართული პიესის ქართველი ავტორის სიტყვები უფრო შეეფერებოდეს ან გამოხატავდეს იმ ქართველთა ყოფა-ცხოვრებას, რომელსაც ბ-ნი შალიკაშვილი გვაწვდის. პირიქით, გადაგვარებულ ქართველთა: გოლასი, ცაცასი, თ-დი ნიკოსი და სხ. ცხოვრება უფრო უაზრობას წარმოადგენს, ვიდრე არარაობას. უაზროა მათი ცხოვრება, უაზროა მათი მოქმედება, უაზროა მათი ცახცახი და კანკალი უფროსი მოხელის წინაშე და უაზრობითაა მოცული მათი ლტოლვა უგნურების მეოხებით გაფლანგული ავლადიდების დასაბრუნებლათ.

უაზრობა იყო თ-დი ნიკოს მხრით მიტოვება სოფლის მდიდარი ბუნებისა და მდიდარი ბუნებოვანი გლეხობის, უაზრობა იყო მიტოვება მამა-პაპეული ადგილ-მამულისა, ძველი, წინაპართა საყვარელი მუხის, და ასეთივე უაზრობაა შემდეგ წუწუნი და წარა-მარა კითხვა: „აღარ აყვავდება, ფოთლებს აღარ გამოისხამსო?“ და, ერთხელ და სამუდამოთ შეიგნონ და დარწმუნდენ სამშობლოს უკუღმართი შვილები, თავის ცხოვრების გამაუკუღმართებელნი, რომ „რასაც დასთესენ იმას მოიმკიანო, რომ „წამხდარსა საქმესა რას არგებს მერელა თითზე კბენანი“. გონების ნაცვლათ ვნება დაპატრონებია ამ ვაჟბატონთ, ვნებათა ქარიშხალი მეუფობს მათ და თავის ნებაზე არხევს იქით-აქით მათ აზროვნებას, თუ კი ეს უკანასკნელი კიდევ შერჩენიათ. რა აზრი აქვს თ-დი ნიკოს მიერ საყვარელი არსების, ბუნების ლალი შვილის, ნინოს მიტოვებას და უკუდო „კოკეტკის“ პრანჭია-გრეხის განმასახიერებელი „მოპარუსკე“ კატოს „უკუღმართ“ კალთებს ქვეშ ამოფარებას, იმ კალთებისა, რომელსაც კარგი ხანია გადაგვარების ჭუჭყი მოეცხო?

„ცის წიაღში ან ზღვის ფსკერზე ყოფნა, მხოლოდ აქ კი არა, ამ დამყაყებულ „ცხოვრებაშიო“ ნაღვლიანი კილოთი გაიძახის გოლა ცხოვრების დამყაყებაზე მას შემდეგ, რაც უბრალო მოხელის ადგილიც კი დაატოვებიეს უნივერსიტეტ დასრულებულს და კარებზე მიუთითეს. „მე მომბაძეთ, მე, აი, ხომ ხედავთ რა მჭიდროთ მაქვს ფეხი მომაგრებული სამსახურშიო“ — გაიძახის გუბერნატორის უმცროსი მოხელე ცაცა, რომელიც მესამე მოქმედებაში ქ-ნ კატოსთან ლაპარაკის დროს კიდეც განმარტავს, თუ რითაა მისი ცხოვრება და მოქმედება მისაბაძი, ან რა უნდა ქნან ნიკომ და გოლამ, რომ მას მიბაძონ“. სრულიად, არაფერი!.. უნდა უფროს მოხელეს ელაქუცონ, ეთვალთმაქცონ და თავის თანამემამულეებზე საიდუმლო საჩივრებით „დანოსებით“ უფროსს ყური გამოუჭედონ. როგორ მოგწონთ „თანამედროვე „ინტელიგენტ“ ქართველთა ცხოვრება, ლტოლვა და „იდეალები“? ჭეშმარიტათ, ბიჭებიც არიან და ქუდიც ხურავთ, სანამ უფროსის მათდამი განწყობილებას უკმაყოფილების აჩრდილი არ სდევს თან, მაგრამ შემოუბერავს თუ არა რისხვის ქარი, რაც აუცილებელია, ეს უბადრუკნიც წუწუნს მიჰყვებიან და წარსულ დიდებასა და სიმდიდრეზე ოცნებობენ. ბ ნმა შალიკაშვილმა ზოგჯერ ეფექტიანი ნაწყეტები მოგვცა „გადაჭრილი მუხის“ სახით იმ სურათებისა, რომელიც გარეშესაც კი, ჩვენს ქვეყანაში შემოსულს, პირველ შეხედვისთანავე თვალს აუჭრელებს, ავტორის არჩევანი მოსწრებულია, მას ჩვენი ცხოვრების იმ მხარის გაშუქება განუზრახავს, რომელიც ფრიადაა დაავადმყოფებული, დასნეულებული და დაწყლულებული, და რომელიც ამ ჟამათ ყველაფერზე უფრო გვიწყლულებს გულსა და გვგვრის სევდებს, გადაგვარება ისეთი სენია, რომელთან ბრძოლასაც უნდა შეეწიროს მთელი ჩვენი აზრი და ენერგია. ამ მხრით ბ-ნი შალიკაშვილი ბევრს ცდილა, მაგრამ ბევრის მხრით ცდა გამარჯვებით ვერ დაუგვირგვინებია. პიესა ახდენს ეფექტს, ახდენს, რადგან ფრიად თანამედროვეა წყლული, რომელსაც იგი ეხება, მაგრამ მას აკლია რეალობა, კოჭლობს ტეხნიკური მხარე, და რაც ყველაფერზე უფრო საგრძნობია: — ავტორი ცდილობს პიესის ზოგ ადგილს ფილოსოფიური სული ჩაბეროს, მაგრამ გამოდის გულცივი პუბლიცისტის მშრალი „მჭევრმეტყველება“, ამ შემთხვევაში არც სიღრმე აქვს და მომხიბლაობაც აკლია. ვამბობთ, თუმცა პიესას ბევრი ნაკლულევანება აქვს, მაგრამ იგი ჩვენი ცხოვრების ისეთ წყლულს ეხება, რომლის ოდნავი შეხებაც აუტანელ ტკივილს აგრძნობიებს ყოველს სულითა და გულით ქართველსა და სამშობლოს მოყვარეს. ამ შემთხვევაში ავტორს, მართლაც რომ დიდი მადლობა ეკუთნის და ხალხმაც კვირის წარმოდგენაზე იგი აუწერელი ოვაციითა და ტაშისცემით დააჯილდოვა.

ჩვენმა მსახიობებმა თავი ცოტათ თუ ბევრათ „შინ იგრძნეს“ და ამიტომაც იყო, რომ თითქმის ყველა მინდობილ მოვალეობას პირწმინდათ ასრულებდა. განსაკუთრებული ყურადღება მ იქცია ე. ჩერქეზიშვილის ქალმა, გუნიამ, შალიკაშვილმა, იმნაძემ, ზარდალიშვილმა და სხ. კარგი იყო ქ-ნი პიერეტა კატოს როლში, და ტასო აბაშიძის ასულმა ხომ პატარა ბიჭის როლში დიდი აღფრთოვანებ გამოიწვია.

ი—ი.

## გუდაუთი.

15 ოკტომბერს დილით შუა ბაზარში ერთი ალიაქოთი ასტყდა.

კოსტა ბალავაძის შაგირდს მიათრევს პოლიციელი.

შაგირდი არ ნებდება პოლიციელს, სიტყვის თქმის ნებას არ აძლევს, მუჯლუგუნის ცემით გაიგდებს წინ. ამ დროს გამოდის კოსტიაც თავის სადალაქოდან, მიუახლოვდება პოლიციელს და მიაძახებს. — „ვაზმი პოლიცია, მენე რეზათ ხატელ-ო!“ ნოქარი ყვირის: გამლახა კოსტიამ, სილა გამარტყა და პოლიციაშიც მე მიმათრევენო!“

როგორც გამოირკვა კოსტიას ნოქარი გაულახავს.

ეს ის კოსტია გახლავთ, რომელმაც დაბა გუდაუთიდან საპროტესტო წერილი შეთხზა და ხელი მოაწერია ყველას, ვინც წერა იცოდა და არ იცოდა, მაგალითად, 5 წლის ბავშსაც.

„სიმართლის ხმაში“ ეს კოსტია სწერდა: „საბრალო ჰანტურაიამ განა არ იცის, რომ ას მანეთში მონაწილენი არ მჭირიაო?“ დიახ, ჰანტურაიამ კარგათ იცის, რომ კოსტია პროლეტარი არ ბძანდება, კარგად იცის, რომ ასიანებს ჩამოვა, მაგრამ რავქნათ, რომ ფულით კაცობა არ იყიდება.

ჩვენ ვიკითხოთ, ნოქრებმა, თვარა მარა უჭირს?!

შეურაცხყოფილი ნოქარი ჩემი (არც ძმაა, არც ახლო ნათესავი; მე მხედველობაში თითოეული ნოქრის მდგომარეობა მაქვს, და კოსტიამ ერთი ნოქრის შეურაცხყოფით, შეურაცხყო ჩვენი ინტერესებიც, ამიტომ გულისწყრომას ვუცხადებთ ჩადენილი ქცევისთვის. დარწმუნებული ბძანდებოდენ, ბალავაძეები და კამპანია, რომ ნოქრების შეურაცხყოფას არავინ ვაპატიებთ.

და თუ კოსტიას სინიდისის ნატამალი მაინც გააჩნია, ბოდიშს მოიხდის ნოქრების წინაშე გაზეთის საშვალებით, ნოქრის პიროვნების შეურაცხყოფისთვის.

დარწმუნებული ვარ, კიდევ მოიპოვებიან ისეთები, ვინც მე ზიზღს გამომიგზავნიან და კოსტიას გაელრიჯებიან, მაგრამ ეს იმათგნ არა ახალია და აღარც გამიკვირდება...

ნოქარი დათიკო ზენაიშვილი.

## რაჭა.

ს. ტოლა. ეს სოფელი მდებარეობს მდ. რიონის მარცხენა მხარეს ოსეთის სამხედრო გზატკეცილის პირათ. სოფლის ნიადაგი ნოყიერია, მაგრამ წელს, ხანგრძლივი გვალვის გამო, ნაკლები მოსავალი იყო. ამ შემოდგზე კარგი ამინდებია. ვენახებისთვის ტოლა-ხვანჭკარის მიწები პირველ ხარისხოვანათ ითვლება. აქ ალექსანდროულის ვაზი (საუკეთესო ვაზია) ყველაზე უკეთესათ ხარობს და მოსავალსაც კარგათ იძლევა.

ამ საზოგადოებაში დაახლოებით 500 კომლზე მეტი იქნება, ამდენ მცხოვრებს ერთკლასიანი სამინისტრო შკოლის მეტი სასწავლებელი არ აქვს, სწავლის მსურველნი კი დღეს 200-ზე მეტი ახალგაზდაა, მაგრამ სად უნდა ისწავლონ, როდესაც შკოლის დარბაზში 70-ზე მეტი მოსწავლე ვერ ეტევა. დიდი მადლობის ღირსი არიან ყოფილი მაზრის უფროსი ბ. ლავროვი და ამბროლაურის ნაწილის ბოქაული ბ. დგებუაძე, რომელთა შეგონებითაც აქაურმა გლეხობამ ერთხმათ გადასწყვიტა, ერთკლასიანი სასწავლებლის ორკლასიანათ გადაკეთება, ამასთანავე აარჩიეს სასწავლებლის მზრუნველობა, რომელმაც ითხოვა დირექციაში მეორე მასწავლებელი; ამ მასწავლებელს ამ დღეებში მოველით; მოწაფეებისათვის პარტები უკვე დავამზადეთ.

თანხმათ საზოგადოების სურვილისა, მაზრის უფროსმა ბ. ლავროვმა სიტყვერათ ნება დაგვრთო, რათა მეორე კომპლექტი მოგვეთავსებია საგლეხო სამართველოს თავისუფალ დარბაზში. იმედია, ახალი მაზრის უფროსიც შევა გაჭირვებული საზოგადოების მდგომარეობაში და დროებით დაგვითმობს თავისუფალ დარბაზს სასოფლო სამართველოსას სასწავლებლის მეორე კომპლექტისათვის.

ამა წლის ივლისის 13 ხვანჭკარის სასოფლო სამართველოში იყო კრება მევენახობისა და მებაღობის გაუმჯობესების შესახებ ბ. ბერეკაშვილის (აგრონომი) თავჯდომარეობით, კრებას 20 მეტი შეგნებული პირი დაესწრო და გადასწყვიტეს, რომ ამავე წლის გიორგობისთვის პირველში კვლავ მოხთეს ამავე ადგილას რაჭა-ლეჩხუმის რაიონული კრება, სადაც უფრო გარკვევით იქნება მსჯელობა მევენახობისა და მებაღობის გაუმჯობესებაზე.

ამირან ლომთაძე.

### პასუხათ ბ. იაკობ კიზირიას.

ბატონო იაკობ! „იმერეთის“ 12 ოკტომბრის №-ში წავიკითხე თქვენი წერილი, რომლითაც მიწვევთ სამედიატორო სამართალში იმიტომ, რომ ვითომ თქვენთვის ეზოში შეურაცხყოფა მომეყენებიოს! მე თქვენი შეურაცხყოფა ფიქრათაც არ მომსვლია: გითხარით მხოლოდ, რომ თქვენ, როგორც გარეშე საზოგადოების მცხოვრებს, ამხანაგობაში წევრათ ვერ მიგიღებენ-მეთქი, მაშინ ისიც რო მცოდნოდა მამა გყავთ, იმასაც გეტყოდით: აქაურიც რომ იყოთ, მაინც არ მიგიღებენ-მეთქი. ნუთუ ეს არის შეურაცხყოფა?!

იქნებ მე პირადათ თქვენ და თქვენ[...] თანებს უფრო ვენდობი და მსურვე[...] ვარ ხელი გაუწყო, ვიდრე ამა თ[...] ადგილობრივ გლეხს, რომელიც კრე[...]ტით სარგებლობს, მაგრამ ჩემს სიმპა[...] ანტიპატიას აქ ადგილი არა აქვს, ამხ[...] გობის კასა ჩემი საკუთრება არაა, [...] ქველობა მომთხოვოთ! მე მგონია, ჩვ[...] შორის სამედიატორო არაფერია; ხოლ[...] თუ თქვენ მაინცადამაინც დაიჟინებ[...] იყოს ნება თქვენი. წესი მოითხოვ[...] რაკი გამომიწვიეთ, თქვენ იქვე დაგე[...] ლებიათ თქვენი მედიატორე და არა ჩ[...] თვის მოგეთხოვათ: — ჯერ შენ დაასახე[...] და მერე მეო; აქაც არ გამოგეკიდებ[...] ვასახელებ მედიატორეთ, (თუ თქვენ [...]ვე არ გყავთ სახეში), თქვენს სახლიკ[...] ივლიანე კიზირიას; ბძანეთ თქვენ[...] ვფიქრობ, ამას უგაზეთოთაც მოახერხებ[...]

ბოლიკარპე ლორთქიფანიძე[...]

რედაკ.-გამომცემელი გრ. ერ. ჭელიძე[...]

კ. ოცხელისა და ამხ[...]
წიგნის მაღაზიამ

(ქუთაისში) მიმდინარე წელს ხელი[...] უწყო მრავალს სახალხო ბიბლიოთ[...] წიგნების არჩევითა და გამოწერით. კე[...] განაგრძობს ამასვე — ადგენს ბიბლიო[...]კებს და აძლევს წიგნებს მეტათ საღ[...]თიანი პირობებით!

**აქვე მოიპოვება შემდეგი წიგნებ[...]**

1. გუთანი, ქართული სახელმძღვანე[...]ლო — — ფ. ყდით 17
2. ქვარიანი, საქართვ. ისტორია 2[...]
3. ყუბანეიშვილი, სღვთო სჯული 6[...]
4. ნიკოლაიშვილი, მოკლე ქართულ[...] გრამატიკა — — 1[...]
5. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა 3[...]
6. მისივე, მოკლე ქართ. გრამატ. 1[...]
7. რობაქიძე, სამშობლოს აღწერა 10[...]
8. დათეშიძე, ქართული დედანი 5[...]

ყველა ამ წიგნზე დათმობა 25 პრ[...]ცენტია.

ახალი უვნებელი საშვალება
რძე პირსახისათვის „ბ ე ტ ტ ი“
ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.

არბილებს და ასუფთავებს სახეს; სპობს სრულებით ფერმჭამლებს; გადაყავს ნამზ[...]ური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ვურჩევ აგრეთვე მამაკაცებს, ვინც პირს ხშირა[...] იპარსავს და ექერცლებათ სახე. მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მ[...]ღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. თფილისში, ლიბიხის აფთიაქი, ს. ს. ნადარეიშვ[...]ლი. ფასი ერთი მანეთი. აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სალავათი.

გ. გორდაძისა და ს. წერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქ[...] უმაღლესა სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაგ-მალცევის ბემსკის მინ[...]ბის ქარხნის, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ“

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.

№ 12[...]

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.